ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6520353

ნომერი: AR1973022

თარიღი : 19.06.2023

გაცემის თარიღი : 21.06.2023

გაცნობის თარიღი : 21.06.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N39;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ გაი პ/ნ 01008058955
- ცხვედაძის 32

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

წარმოსადგენია 10/06/2021წ. № 5443496 ბრძანებით შეთანხმებული დოკუმენტაციის გენ გეგმა, მასზე როგორც შეთანხმებული ბენზინ და დიზელ გასამართი სადგური და მისი დამხმარე შენობა–ნაგებობების ასევე გამწვანების ასახვით, აღნიშნულ გენ გეგმაზე ასახეთ საპროექტო ნაწილიც, ასევე წარმოადგინეთ საპროექტო ნაწილის ფრაგმენტული გენ გეგმა, რადგან ამ ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დგინდება დაგეგმილი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია.

ამასთან სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია ტერიტორიის მოასფალტება, საჭიროა მოეწყოს ღრუტანიანი ფილები.

ვინაიდანსაპროექტო მიწისნაკვეთზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2) აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა,შესაბამისად დოკუმენტაციიდან ამოღებულ იქნას საპროექტო ღობე.

ასევე წარმოდგენილი ფოტომონტაჟის თანახმად გარდა ღია ავტოსადგომის მოწყობისა ასევე იგეგმება სხვადასხვა სამუშაოები, მათ შორის არსებული შენობის ფასადის სარეკონსტრუქიო სამუშაოები, აღნიშნულის შესახებ საჭიროა განმარტოთ მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში და ნომენკლატურაც განისაზღვროს შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით, ამავე განაცხადზე შესაძლებლობა გეძლევათ ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით.

საკადასტრო საზღვრებს გარეთ დაგეგმილ სამუშაოებთან დაკავშირებით დამატებით წარმოდგენილ იქნას შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა, სხვა შემთხვევაში დოკუმენტაციიდან ამოღებულ იქნას აღნიშნული სამუშაოები.

წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინეთ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.